ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!
14 (10001) • 8 aprili • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

გილოცავთ! 7 აპრილი – ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა!

ენერგეტიკის მინისტრმა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა მოინახულა

გაზეთი „ალიონი“

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე ოზურგეთს ეწვია, ქარიშხლის შედეგად დაზიანებული შენობები მოინახულა და დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა. მან მოინახულა ქ. ოზურგეთში „რკინაბეტონის“ ქარხნის მრავალბინიანი სახლის გადახურვის სამუშაოები, შემდეგ კი ბაქრაძის ქუჩაზე მამალაძის ოჯახში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოები დაათვალიერა.

ოზურგეთის გამგებელი დაბა ურეკის მოსახლეობას შეხვდა

2 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კონსტანტინე შარაშენიძე დაბა ურეკის მოსახლეობას შეხვდა და მათ კურორტის წყალმომარაგების პროექტზე ესაუბრა.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დაბა ურეკში წყალსადენის ქსელის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს სექტემბრის ბოლოს, საკურორტო სეზონის დასრულებისთანავე დაიწყებს.

დაბა ურეკის მოსახლეობა ცენტრალური წყლის სისტემის არქონას, დიდი ხანია უჩივის. ადგილობრივები წყლით მომარაგებას კერძო ჭაბურღილების საშუალებით უზრუნველყოფენ.

კონსტანტინე შარაშენიძე დაბა ურეკის მაგნეტიტის დასახლებაში მცხოვრებ ადგილობრივებსაც შეხვდა, რომლებიც გამგებელს აღნიშნულ ტერიტორიაზე ზღვისგან დამცავი ჯებირის აღდგენის აუცილებლობაზე ესაუბრნენ. როგორც ადგილობრივებმა აღნიშნეს, ამჟამად ე.წ მაგნეტიტის ზონა დაუცველია და ზღვის ადიდების შემთხვევაში მოსახლეობა დატბორვის საფრთხის ქვეშ იმყოფება.

გამგებლის თქმით, მუნიციპალიტეტის გამგეობა შესაბამის ზომებს მიიღებს და აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს მიმართავს.

კოტე შარაშენიძემ ასევე დაბა ურეკის მკვიდრის, შაქრო ბარდაველიძის საცხოვრებელი სახლი მოინახულა, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია და სტიქიამ კიდევ უფრო დააზიანა.

გამგებელმა აღნიშნა, რომ გამგეობა შაქრო ბარდაველიძეს სახლის სახურავისთვის საჭირო მასალით უზრუნველყოფს, რომელიც მუნიციპალიტეტს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ და საქველმოქმედო ფონდმა „ქართუ ჯგუფმა" გამოუყო. მანვე დაბა ურეკში მცხოვრები ზინა თოფურიას საცხოვრებელი სახლიც დაათვალიერა და მას გადახურვისათვის საჭირო მასალით დახმარებას დაპირდა.

გამგებელმა ადგილობრივ მედიასთან საკურორტო ზონაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი პრობლემათა გადასაჭრელად ზომებს მყისიერად მიიღებს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის პრეს-სამსახური:

დავით ბაქრაძე ოზურგეთს სტუმრობდა

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე ოზურგეთს სტუმრობისას სახელმწიფო რწმუნებულს ვალერი ჩიტაიშვილს, რწმუნებულის აპარატის და ნაციონალური პარტიის წარმომადგენლებს შეხვდა.

— ჩვენ ვხვდებით სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ ადამიანებს, მოვუსმენთ მათ, რათა დავეხმაროთ და მათი ხმა მივაწვდინოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საელჩოებს. ასეთი ადამიანები საქართველოში 5 ათასამდეა, მათ შორის საკმაოდ დიდია რაოდენობა ოზურგეთშიც.

კითხვაზე, ისაუბრებენ თუ არა ისინი 19 აპრილის თემაზე, ბაქრაძის პასუხით, ისინი ყველა თემაზე აპირებენ საუბარს. შეხვედრა ჟურნალისტებისათვის დახურული იყო, რაც ბაქრაძემ ასე ახსნა: — ადამიანები დახურულ შეხვედრაზე უფრო გახსნილები იქნებიან და არ მოერიდებათ ჟურნალისტებისა, რომ უკეთ თქვან თავიანთი

მხარეები ერთმანეთის ბრალეულობაზე საუბრობენ, ბავშვთა კვების პრობლემა კვლავ კითხვებს ბადებს

ნინო ნიკოლაიშვილი

დაძაბულ ვითარებაში წარიმართა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართული შეხვედრა 3 აპრილს, რომელშიც ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაციების, ა(ა)იპ „ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის“ თანამშრომლები, ბაღების მენეჯერები, პროკურორის მოადგილე მალხაზ სირაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექიმები მაია ქუტიძე, გელა უგრეხელიძე, აღსაზრდელთა მშობლები, ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. ნაცვლად იმისა, რომ მხარეთა პოზიცია სიმართლის გარკვევისკენ მიმართულიყო, რაც ამ ბოლო პერიოდში გახმაურებული ბაღებში ხორცის მიწოდების ვარგისიანობის დადგენას და ბავშვთა კვების უსაფრთხოების გარკვევას ითვალისწინებს, კონკრეტულ პირთა თავდაცვის პოზიციაში ჩადგომამ საზოგადოების გაკვირვება და გაღიზიანება გამოიწვია.

შეხვედრას ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი მახარაძე უძღვებოდა.

არის თუ არა ბაღებში ბავშვთა კვება უსაფრთხო; შექმნილია, თუ არა შესაბამისი გარემო, ვინ არის პასუხისმგებელი მომხდარი ინციდენტის გამო, დაცვის რა მექანიზმები ამუშავდება მომავალში, საზოგადოების ინტერესი ამ მიმართებით დიდია და დამოკიდებულება - ემოციური.

ლევან ხინთიბიძე: — მოხდა დანაშაულის ფაქტი, თუ არა, ამაზე ახლა არ ვსაუბრობთ, ჩვენ ველოდით მეტ განმარტებებს ხელისუფლების მხრიდან. პასუხისმგებელი პირებისგან გვინდა პასუხი, გვინდა ვიცოდეთ ფაქტის გარშემო მეტი. ვინ ახორციელებდა მონიტორინგს ბავშვთა კვებაზე. ჩვენ არ გავჩერდებით, რადგან საქმე ჩვენს ბავშვებს ეხება.

ამირან გირკელიძის განმარტებით, შესყიდვების სამსახური მონიტორინგს მხოლოდ დოკუმენტაციაზე აწარმოებდა. მაკა ჭყონიას განმარტებით კი, გარდა ვიზუალური დათვალიერებისა და ფორმა ორისა, მათ არანაირი მექანიზმი არ ჰქონდათ ხორცის ვარგისიანობის დადგენისა და ასეთ პირობებში არც მომავალში არიან დაზღვეული მსგავსი ფაქტებისგან.

შეხვედრაზე ამაზე პასუხისმგებლობა არც ერთ სამსახურს არ აუღია და ისინი მხოლოდ ხორცის ვიზუალური დათვალიერებით შემოიფარგლებიან.

ხელის გაშვერა ბაღის მენე-

▶▶▶ გვ-3

7 დღის ამინდის პროგნოზი

8 აპრილი ორშაბათი	9 აპრილი სამშაბათი	10 აპრილი ოთხშაბათი	11 აპრილი ხუთშაბათი	12 აპრილი პარასკევი	13 აპრილი შაბათი	14 აპრილი კვირა
მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	ძლიერი წვიმა	წვიმა	წვიმა	წვიმა	ძლიერი წვიმა
+19+25	+18+29	+8+14	+9+15	+8+12	+9+16	+10+11

აუცილებელია პროექტები, რომელიც გვერდი-გვერდ განავითარებს სამთავ ურთიერთობებს

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიურობა და კონკრეტული საკითხების ირგვლივ მოუკერძოებელი შეფასებები გამოიკვეთა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ კონფერენციაზე ,,კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება.'' შეხვედრა გაიმართა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკისთან, რომლის ინიციატორი გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაციები ,,მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია'' (ხელმძღვანელი ალუ გამახარია). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდნენ როლანდ კოპალიანი, საქართველოს აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, საია-ს წარმომადგენელი ნოდარ ჯიქია, პარლამენტის აპარატის წარმომადგენლები.

გიორგი ვოლსკიმ კონკრეტულ ჩინოვნიკთა ქმედებებსა და ყოფილი ხელისუფლების მხრიდან იმ გატარებული პოლიტიკის შესახებ ისაუბრა, რამაც დაამძიმა ურთიერთობები სამ, მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ერთა შორის და უპასუხა დასმულ შეკითხვებს. ერები, რომლებმაც არაერთი ისტორიული ქარტეხილი ერთად გამოიარა და ამ სვლაში ასევე არაერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა ქართულ-აფხაზურ-ოსური ურთიერთობების მატიანეში. მერე გათიშე და იბატონეს პოლიტიკით მტერმა თავისი მოახერხა და ამ ერთა წაკიდებით, ძმობით და ძმადნაფიცობით გამყარებულ ურთიერთობებს არა თუ ბზარი შეუყენა, გარკვეულწლად შეარყია კიდეც. იხეირა მავანმა, იზეიმა უკეთურმა. ისტორიამ მიითვალა უმძიმესი ფურცლები.

სად იქნა დაშვებული შეცდომები და ამ შეცდომების მიუხედავად ურთიერთგაწვდილი ხელის მადლი ამ პრობლემებიდან მაინც ამოიყვანს ძმებსა და ძმადნაფიცებს. ყველა შეცდომას თუ მხარეები ეროვნულ მოტივაციას არ დაუდებენ. უკეთურს ეროვნება არ გააჩნია და არც სიყვარულით გულის სისავსეს.

გულწრფელი კითხვები და მოსაზრებები გამოითქვა დარბაზში. სამთავე ერმა უნდა იზრუნოს ერთმანეთის კულტურის გადარჩენაზე, რადგან ამ კულტურებს ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან. კულტურა ხომ ერის ცნობიერების საზომია. ,,ხელი ხელს ბანს და ორთავე პირსო''-ხალხური სიბრძნეა, ერთიანი ეკონომიკური პროგრამები ვინძლო წაადგეს სამივე მხარეს. მტრის წისქვილზედ დასხმული წყალია, ხელოვნური ბარიერები ურთიერთობებში. რა გვჭირდება და არა რა გვინდა; რა უნდა შევთავაზოთ და არა რას ვთავაზობთ ერთმანეთს, სხვა უკეთ ვერ გასწავლის. აუცილებელია პროექტები, რომლებიც გვერდი-გვერდ განავითარებს სამთავ ურთიერთობებს. რაზედაც უნდა ზრუნავდეს საზოგადოება. ერთია სურვილი და მზაობა, გინდოდეს პრობლემის მოგვარება, მეორე — იცოდე, როგორ მოაგვარო ის.

საკრებულოში კიდევ ერთი ფრაქცია შეიქმნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რამდენიმე ფრაქცია შეიქმნა. ,,ერთიან ნაციონალური მოძრაობის'' ფრაქციას სოფ. ძიმითის მაჟორიტარი დეპუტატი შალვა თავდიშვილი ჩაუდგა სათავეში. ამჟამად 6-კაციან ფრაქციას 2 დეპუტატი —ირინა საჯაია და სოფ. მთისპირის მაჟორიტარი ავთანდილ ნემსაძე გამოეყვნენ და მათ საკრებულოში ადგილმონაცვლეობით მოსულ მიხეილ გოგოტიშვილთან ერთად ახალი ფრაქცია ,,ნაციონალური მოძრაობა —ძლიერი თვითმმართველობა''შექმნეს. ფრაქციას მიხეილ გოგოტიშვილი უხელმძღვანელებს.

ნუ გახდები ტრეფიკინგის მსხვერპლი

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საჯარო სკოლების პედაგოგების, უფროსკლასელების, სოფლის თემის წარმომადგენლებისა და რწმუნებულებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე — ნუ გახდები ტრეფიკინგის მსხვერპლი. ტრენინგი ჩატარდა პროექტის ფარგლებში ,,გაიგე მეტი და იყავი ფრთხილად''. პროექტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემებში ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქალები რეგიონის განვითარებისათვის'' (ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი). ფინანსური მხარდამჭერი ,,ქალთა ფონდი საქართველოში''.

პროექტის მიზანია მოსალოდნელი რისკები არალეგალური მიგრაციის შემთხვევებში, ანუ ტრეფიკინგის საფრთხეების გაცნობიერება, საზოგადოების მხრიდან ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით.

ტრენერი **მანანა ჯინჭარაძე** მსმენელებს ესაუბრა ტრეფიკინგის ფორმებსა და ფაქტებზე, სად არსებობს რისკები და როგორ შეიძლება დაიცვას თავი მოქალაქეებმა, რომ არ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. შეხვედრის მეორე ნახევარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები. მათ არა მხოლოდ კითხვები დასვეს, არამედ თავიანთი მოსაზრებებიც გამოხატეს ტრეფიკინგის, როგორც საზოგადოებისათვის დიდი პრობლემის მიმართ. ჩაიწერეს ცხელი ხაზის ნომრები და აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები მეტად უნდა იმართებოდეს, რადგან მათ გარემოცვაში მყოფი არაერთი მოქალაქე გასულია უცხოეთში სამუშაოდ და არაერთი მოქალაქე აპირებს წასვლას. მონაწილეებს დაურიგდათ საცნობარო მასალები.

2 აპრილი – აუტიზმის დღე

2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დღეა. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვედრა მოეწყო საბავშვო ბღის აღმზრდელებთან, რომელთაც ექიმი **ნონა კუკულაძე** და გურიის ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრები **ნანა მჟავია** და **მედეა შარაშიძე** დაინტერესებულ პირებს ესაუბრა იმ სიმპტომებზე, რაც აუტიზმის მქონეთათვისაა დამახასიათებელი. —აუტიზმის განკურნება არ ხდება, მაგრამ თუ 3 წლამდე ასაკში გამოვლინდება, სწორი აღზრდითა და მკურნალობით მდგომარეობა უმჯობესდება და შესაძლებელია ასეთი ადამიანები საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბდნენ.

თავისუფლება ისეთივე უწმიდესი ცნებაა, როგორც მამული, ენა, სარწმუნოება

ნუგზარ ასათიანი

თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა 1989 წლის 9 აპრილის ცნობილი მოვლენიდან. ამ დღეს საბჭოთა იმპერიამ მსოფლიოს დაანახვა, რომ ის იმ გზის გამგრძელებელი იყო, რომელმაც 1956 წლის 9 მარტს თბილისში უმოწყალოდ დახვრიტა ქართველი პატრიოტები, იმავე წელს—ბუდაპეშტში, 1968 წელს—პრაღაში ტანკებით გათელა უნგრელი და ჩეხი პატრიოტების თავისუფლებისაკენ ლტოლვის სურვილი.

9 აპრილის მსხვერპლს მოჰყვა საქართველოში ეროვნული ცნობიერების საოცარი გაძლიერება, პირველი დემოკრატიული არჩევნები, ეროვნული ხელისუფლების მოსვლა, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმი და 9 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

სამწუხაროდ, ის, რაც საუკუნეების მანძილზე ხდებოდა საქართველოს ისტორიაში, რითაც ყოველთვის გარეშე მტერი ხეირობდა, განმეორდა 1991-92 წლის იანვარ-თებერვალში. სამოქალაქო ომის ცეცხლმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. ამას მოჰყვა აფხაზეთის ომი და საქართველო ხანგრძლივი დროით წყდიადში გაეხვია. არ შევუდგებით იმის ახსნას, თუ რა დადებითი და უარყოფითი მოგვიტანა ,,ვარდების რევოლუციამ'', მაგრამ საკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ უფრო გაამლიერა ეროვნული ცნობიერების მოშლის პოლიტიკა, ვერ აიცილა თავიდან ომი რუსეთთან, რამაც კიდევ უფრო შეკვეცა ქვეყნის ტერიტორია და რასაც მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი იმპერიის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვა.

ის ადამიანები, რომლებიც მაშინ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილს შეადგენდნენ, თანდათან იქნენ განდევნილნი და იმათ, რომლებმაც არ გაიზიარეს დღევანდელი ,,გლობალიზაციის'' პრინციპები და სადღაც შემორჩენ, სხვადასხვა მეთოდებით ავიწროებენ.

გურიიდან 9 აპრილს ორი ახალგაზრდა ქალიშვილი დაიღუპა. ლიხაურელი ნინო თოიძე და ხიდისთაველი ნატო გიორგაძე. მათი საფლავები იმ პერიოდში ეროვნული ძალების შეკრებების ადგილად იქცნენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 9 აპრილს დაღუპულთა ყველა საფლავი მოინახულა. ესტუმრა გურიასაც.

სოფ. ლიხაურში ამ დროისათვის შეიქმნა ნინო თოიძის სახელობის საზოგადოება, რომელსაც ნინო თოიძის ბიძაშვილი აწ გარდაცვლილი ზურაბ ვაშაყმაძე ჩაუდგა სათავეში. საერო საქმისთვის მან მიატოვა საკმაოდ წარმატებული ბიზნესი.ამ საზოგადოებამ თავიდანვე მიზნად დაისახა ეკლესიისადმი თანადგომა, ქველმოქმედება და საგანმანათლებლო საქმიანობა.

მახსოვს, 9 აპრილიდან ერთი წლისთავისთვის ვემზადებოდით. ზურაბ ვაშაყმაძე და ამ სტრიქონების ავტორი, 23 მარტს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მიგვიღო თავის ძველ რეზიდენციაში, სიონის ტაძართან ახლოს. ამ თემაზე ადრე ვწერდით, ამიტომ მთავარს მოგახსენებთ. პატრიარქი შეგვპირდა, რომ ლიხაურის ეკლესიაში მღვდელს დანიშნავდა, გაზეთ ,,ლეხოურის''პირველი ნომრის მილოცვა გადმოგვცა და საკმაო ხანს გვესაუბრა საქართველოს ისტორიულ მხარეში, ტაოკლარჯეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე, მათთან შეხვედრის ეპიზოდებზე იქაურ ქართულ სულზე, რომელიც მათ ცნობიერებაშია გენეტიკურად ჩადებული. პატრიარქის თითოეულ სიტყვაში ჩვენ მუსლიმ თანამემამულეებზე დიდი სიყვარული იყო ჩადებული.

ლიხაურს ორიოდ კვირაში მოვლინა მღვდელი მამა გურამი (ბერბიჭაშვილი). ტაძარს არ მოკლებია მრევლის სიმრავლე და მისი მცდელობით, აჭის წმიდა გიორგის ეკლესიაშიც დაიწყო წირვა-ლოცვა.

იმ პერიოდში ეკლესიას ედგა გვერდში ნინო თოიძის საზოგადოება. ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ღონისძიება ლიხაურის ეკლესიის მრევლის სტუმრობა იყო სხალთის ტაძარში, სადაც გავიცანით მღვდელი მამა იობი, რომელიც შემდეგ ჩვენი ეპარქიის ეპისკოპოსი გახდა და ამჟამად მისი მეუფობა რუის-ურბნისის ეპარქიიდან, როგორც მართლმადიდებლობის ერთ-ერთი სწორუპოვარი დამცველი, ეხმიანება დანარჩენ საქართველოს.

ნინო თოიძის საზოაგდოების ასეთი აქტივობა განაპირობებდა მის ავტორიტეტს. მამა გურამის გვერდით მანამდე და მღვდლის ხარისის მიღების შემდეგაც ედგა მამა მათე (გორდელაძე), რომელმაც წლების მანძილზე, თავისი ცხოვრების წესით საზოგადოებას მისცა მაგალითი, როგორ უნდა ცხოვრობდეს და მოღვაწეობდეს მოძღვარი. საბედნიეროდ, შემდგომ წლებში დაიწყო ეკლესია-მონასტრების აღდგენა-მშენებლობის დიდი პროცესი.

9 აპრილის გმირთა სახელის უკვდასაყოფად ასაგები მემორიალისათვის ნინო თოიძის საზოგადოებამ კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში გაიმარჯვა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენლის, მხატვარ ვახტანგ მამეიშვილის პროექტმა. სამწუხაროდ, შემდგომ წლებში განვითრებულმა მოვლენებმა ეს პროექტი შეაჩერა.

მომდევნო წლებში 9 აპრილს, 26 მაისს გმირების საფლავებისკენ ათასობით ადამიანი მიემართებოდა. ოზურგეთიდან ლიხაურში მიმავალ კოლონას წინ ჩოხოსანი ცხენოსნები (იმჟამინდელი მონარქისტები) მიუძღვოდნენ. არ ივიწყებდნენ ნატო გიორგაძის საფლავს და ოზურგეთლების ერთი ჯგუფი იქ მიდიოდა. მაგრამ ისტორიას თავისი მკაცრი წესები აქვს. დრო ბევრ რამეს ცვლის. თუმცა იმ ადამიანების ერთი ჯგუფი, რომლებიც ეროვნული ღირებულებების ერთგულნი დარჩნენ კვლავ სტუმრობენ 9 აპრილს დაღუპულთა საფლავებს, ნიშნად იმისა, რომ საშობლო და თავისუფლება ის ფასეულობებია, რომლის შეცვლა არაფერს არ შეუძლია, როგორც მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა ამ ოთხი წლის წინ გაზეთ ,,ალიონთან'' განაცხადა: ,,ჩვენ არც რუსეთის მონა უნდა ვიყოთ და არც ამერიკის. მონა არავის უყვარს, მხოლოდ იყენებენ. მხოლოდ ღვთის მონა უნდა ვიყოთ და ყველაფერი რიგზე იქნება.''

საბავშვო ბაღებში არსებულ პრობლემებს სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო სწავლობს

გაზეთი „ალიონი“

მას შემდეგ, რაც გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტები ქ. ოზურგეთის №3 სასავშვო ბაღში მშობელთა კრებას დაესწრნენ, ბაღის გამგეს დაუკავშირდნენ ა (ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალი-ტეტის სკოლამდელი საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრიდან. -ხელმძღვანელის გარეშე რატომ ჩაატარეთ კრება? ამას თავიდანვე ითხოვდნენ მშობლებიც. ნინო მშვიდობაძის განმარტებით, ის დაუკავშირდა ცენტრის ხელმძღვანელს, მაგრამ ტელეფონი გამორთული ჰქონდა. ფაქტი ჩვენი გადამოწმებითაც დადასტურდა. გაჩნდა კითხვები, სად იმყოფებოდა ცენტრის ხელმძღვანელი ასეთ დაძაბულ პერიოდში. მაკა ჭყონიამ გვიპასუხა, რომ ის გათავისუფ-ლებული იყო საკრებულოს თავმჯდომარისგან და ამდენი ხნის მუშაობის პერიოდში მხოლოდ ერთხელ გათავისუფლა თავი პირადი საქმისთვის.

კრების შემდეგ ქ. ოზურგეთის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი დიდი სბავშვო ბაღის გამგე **ვერა ვასაძემ** გაზეთ „ალიონთან“ დაადასტურა, რომ მათ ბაღშიც მიტანეს დაბალი ხარისხის ხორცი და დაბრუნა. საუბრობენ, რომ ეს სხვა ბაღებშიცაა მომხდარი და ე.წ. „ხორცის საქმე“ არ არის №3 ბაღის მენეჯერის ნინო მშვიდობაძის ახირება და ეს თემა კარგა ხანია მუსირებს ამ სისტემაში.

მაკა ჭყონია: –პროდუქტის მიღებაზე პასუხისმგებლები უშუალოდ მენეჯერები არიან, რატომ აღიზიანებს ეს ნინო მშვიდობაძეს? მე არას-დროს მიფიქრია, ნინო მშვიდობაძისთვის შემექმნა პრობლემა. ნინოს ჩვენთვის უნდა ეცნობებია, 12 კგ, ხორცის ბაზრის მეყასბესთან დასამუშავებლად წაღების შესახებ. ფორმა №2 ხომ ახლდა იმ ხორცს. ერთი თვის წინ, ხორცის მიღებისას დამირეკეს ბაღიდან. მივედით და ვნახეთ, რომ ვიზუალურად არ იყო ისეთი, ნეკნების ანათალი იყო. დავუბრუნეთ, და მოვთხოვეთ რბილი ხორცი შემოეტანა...

–მაგრამ ქალბატონო მაკა, ხორცის ხარისხზე სხვა ბაღებშიც გამოთქვამდნენ საყვედურს. ამბობდნენ იმასაც, რომ ხორცი ძელად ინარშებაო...

–ამის შესახებ რამდენიმე ბაღის მენეჯერმა მეც მითხრა. როცა დის-ტრიბუტორს ეს კითხვა დავუსვი, მათ ამიხსნეს, რომ ასპინძის საქონელი არის მთის საქონელი, ამიტომ მთის საქონელის ხარშვისთვის მეტი დრო სჭირდებაო (?!) მე სბუთით, (ფორმა №2) ვენდობოდი მომხმარებელს. ისე ტენდერის შესახებ ჩემი ეჭვები მაქვს, მაგრამ წინასწარ არ მინდა ამ თემაზე საუბარი...

გაზეთი „ალიონი“ დაინტერესდა, ვინ იყო პასუხისმგებელი პირი ბაღების გაერთიანებაში ხორცისა და სხვა პროდუქტების შეტანაზე:

ცენტრის დირექტორმა ოპერატიულად გაგვცა წერილობითი პასუხი, რომ **„ა (ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ის ფილიალებში ხორცის შეტანას უზრუნველყოფს ა(ა) იპ „ცენტრტი“-ს გამარტივებულ ელე-ქტრონულ ტენდერში (ტენდერი №ა130000792) გამარჯვებული ინდ/მწარმე ზურაბ მელიქიძე, (ს/კ 05001002973) რომელიც პასუხის-მგებელია მოწოდებული პროდუქციის ხარისხზე და ამ პროდუქციის ხარისხიან დისტრიბუციაზე, ხოლო სბავშვო ბაღში პროდიქციის მიღებაზე და ამ პროდუქტის შემდგომ შენახვა-ვარგისიანობაზე პასუხის-მგებელია შესაბამისი ფილიალის მენეჯერი და მნე.“**

ოზურგეთის სურსათის უვნებლობის სამსახურის სპეციალისტი **ვალერი ხომერიკი** გაზეთ „ალიონთან“ აცხადებს, რომ მან №3 ბაღში ნახა 10 დღის წინ შემოტანილი ხორცი. მე ვნახე ის ხორცი, რომელიც იყო მაცივარში.

–ნახეთ თუ არა მეყასბესთან მიტანილი ხორცი?

–არ ვიცი, რატომ მიიტანეს მეყასბესთან ხორცი. ამის უფლება არ ჰქონდათ. ბაღის ტერიტორიიდან ხორცი არ უნდა გასულიყო. იქნებ შეცვალეს და სულ სხვა ხორცი მიიტანეს? გიმეორებთ, მე ვნახე ის ხორცი, რომელიც იყო მაცივარში 15 დღის მანძილზე (?!). **–გქონდათ თუ არა ინფორმაცია, რომ ბოლო პერიოდამდე ხორცი ასპინძიდან ჩვეულებრივი „სამშრუტო მანქანით“ გადმოჰქონდათ?**

–არ ვიცი. თუ მოგვმართავდნენ, შეგვიძლია გავუწიოთ ელე-მენტარული კონსულტაცია. ლაბორატორია სურსათის უვნებლობის საა-გენტოს გაჩნია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ალეკო მამეშვილი** ბაღების გაერთიანებაში მივიდა და გაერთიანების თანამშრომლებს შეხვდა, რის შემდეგაც მან გაზეთ „ალიონის“ კითხვებს უპასუხა:

–მთავარი თემა არის ის, რომ ბავშვები უნდა იყოს უსაფრთხო გარემოში. ეს ეხება როგორც ტექნიკურ ნაწილს, ისე კვებას. ჩემგანაც ხდება კონრტოლი იმ საკითხებზე, რასაც კვების თემა ჰქვია. აქვს აღებული პასუხისმგებლობა და ვალდებულება ცენტრის ხელმძღვანელს, მენეჯერებს პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა ის, რომ გააკონტრო-ლოს ყველა პროდუქტის ხარისხი. გაკონტროლება ხშირ შემთხვევაში ხდება ვიზუალური დათვალიერებით, რომ რაიმე სახის პრობლემა არ იყოს. რაც შეეხება ამ კონკრეტულ ფაქტს, 37 ბაღში დარიგდა ეს ხორცი და ერთ-ერთ ბაღში მენეჯერმა გამოთქვა ეჭვი ხორცის ვარგისიანობასთან დაკავშირებით.

–ბატონო ალეკო, ბაღების გამგეები აღნიშნავენ, როცა მათ ხორცს აწვდიდა სავაჭრო სახლი „მოდერნი“ და მაღაზია „ანგი,“ მათ პრეტენზია რა ჰქონიათ ხორცის ხარისხზე. პრობლემები ინდ/მეწარმე ზურაბ მელიქიძის შემოსვლას მოჰყვა. №3 ბაღს 3-ჯერ აქვს დანაბრუნები ხორცი ამ ფირმისთვის, ასევე დანაბრუნები აქვს სხვა ბაღებსაც. ეს ამბები კარგა ხანია გრძელდება. იცოდით თუ არა თქვენ ამის შესახებ?

–ერთი ფაქტი იყო. სამჯერ არ ყოფილა. არა მგონია ცრუ ინფორ-მაცია მომაწოდოს ცენტრმა. ერთ შემთხვევაში ვიზუალური დათვალიერების შემდეგ სთხოვეს დისტრიბუტორს ხორცი წაეღოთ უკან (როგორც წყარომ უთხრა რედაქციას, დისტრიბუტორმა ეს დაწუნებული ხორცი ოზურგეთში ერთ-ერთ ცნობილ რესტორანს ჩაბარა კგ. 3 ლარად–რედ.) დღეს ბაღების გაერთიანებაში მენეჯერებთან გაიმართა თათბირი. სხვები ამბობენ, არაფერი შეუნიშნავთ მსგავსი...

– სხვა მენეჯერებიც საუბრობენ ასეთ ფაქტებზე...

– არ არსებობს. კმაყოფილება-უმაყოფილება შეიძლება გამოიწვიოს ტენდერმა. შარშან ჩოხატაურლებმა გაიმარჯვეს ტენდერში. ერთხელ ტენ-დერი ჩავარდა და ადგილზე ვნახეთ მომწოდებელი. ამ შემთხვევაში, ტენდერში ასპინძელებმა ფასით აჯობეს ადგილობრივებს. ტენდერის მოთხოვნა იყო, ხორცი იყოს ხარისხიანი, რომელსაც შესაბამისი დოკუ-მენტაცია უნდა ახლდეს. ამდენი ხანია ხდება მოწოდება, ეჭვი ერთ შემთხვევაში იყო მხოლოდ.

–საქმე ის არის, ბატონო ალეკო, რომ №3 ბაღის გამგე ნონო მშვიდობაძემ მშობლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ხორცის დაბრუნების სამი შემთხვევა იყო (შეგვიძლია აუდიოჩანაწერი მოგასმენინოთ) ასეთზე სხვა ბაღებიც საუბრობენ...

–როგორ შეიძლება, ხორცის ერთი ნაწილი იხარშებოდეს, მეორე –არა? კარგია მოქალაქეების აქტივობაც, მაგრამ ხორცის ვიზუალური დათვალიერება ერთია, ლაბორატორიული დასკვნა მეორე. ალბათ მომავალში ისიც იქნება შესასწავლი, როგორი ხორცი იყიდება ოზურგეთის ბაზარშიც. ასპინძელ დისტრიბუტორთან ხელშეკრულება შეწყდა. გამოცხადდება ახალი ტენდერი და ახალი გამარჯვებული გამოვლინდება.

დღის განმავლობაში აღელვებული მშობლები №3 სბავშვო ბაღთან იდგნენ. ისინი თავიანთ პროტესტს გამოხატავდნენ ხორცის მიმწოდე-ბლების მიმართ.

დღის ბოლოს სურსათის უვნებლობის სააგენტოდან სპეციალისტე-ბი ჩამოვიდნენ. **ზურაბ ვაშიაშვილი, სულხან სულხანიშვილი, გენადი კვერენჩილაძე** ოზურგეთში არაგეგმიურ ინსპექტირებას ატარებდნენ. მათ დაიწყეს მოკვლევა, რა პირობებში ხდებოდა ხორცის ტრანსპორტირება, არის თუ არა დაცული თავად ბაღებში ხორცის შენახვის პირობები, რამ-დენადაა დაცული სხვა სანიტარული ნორმები.

შესვედრის ბოლოს სპეციალისტთა განმარტებით, მიეცა მითითება ბაღების გაერთიანებას, 1 თვისამდე გასწოროს აღნიშნული დარღვევები, წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაცია დაჯარიმდება. 2 აპრილს №3, ასევე რამდენიმე ბაღიდან აღებული იქნა ხორცის ნიმუშები და გამოსაკვლევად გაგზავნილი იქნა შესაბამის ლაბორატორიაში.

ბაღების გაერთიანებამ ასეთი ვერსია გაავრცელა, თითქოს ნინო მშვიდობაძემ ხორცი გასატერებლად ნიჟა ხომერიკთან, ანუ იმ პირთან მიიტანა, რომელიც ტენდერში ასპინძელ დისტრიბუტორთან დამარცხდა და შესაბამისად ატეხილი აურზაური მის ინტერესში შედიოდა. კომენტარისთვის ნინო მშვიდობაძეს მივმართეთ.

ნინო მშვიდობაძე: – ეს ინფორმაცია ბაღების გაერთიანებიდან წამოვიდა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ხორცსაკეკი მანქანა რომ გამიფუჭდა, მაკა ჭყონიას მივმართე. მანქანა შეეკეთეთ, თუმცა მალევე გაფუჭდა. მას შემდეგ გასუფთავებული ხორცი №2 სბავშვო ბაღში მიგვქონდა და იქ ვეკერის მისამართით, რომ ხორცი გასატარებლად ბაღის გარეთ არ უნდა გაეტანა, ლოგიკურია და საკ-მაოდ ხმაურიანი გამოხატულებით წარიმართა, თუმცა რა გააკეთა ხელმძღვანელობამ, რომ სბოლოოდ მოეგვარებინა აღნიშნულ ბაღში ეს პრობლემა, არ საუბრობენ. ბრალდება, რატომ გამოიკვეთა პრობლემა მხოლოდ №3 ბაღში, თანდათან შესუსტდა, რადგან მსგავსი ფაქტები სხვა მენეჯერებმაც დაადასტურეს, და რაზედაც არაერთი ინფორმაცია გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში წინა დღეებშიც მოგვაწოდეს.

მაია სურგულაძე: – ამ ფაქტით იკვ-ეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. რატომ ჩამოდიოდა ხორცი მაცივრის გარეშე, სად არის გარანტია, ფორმა ორი არ არის უსაფრთ-ხოების გარანტი. ვინ არის დაზღვეული, რომ თუნდაც გზაში არ იცვლებოდა ხორცი?

თამარ ღლონტმა ბაღებში ადრე ჩატარებულ მონიტორინგსა და თვითმმართველობ-ისადმი შეთავაზებულ რეკომენდაციებზე გაამახვილა ყურადღება, რაც ასევე პრობლემურია ბაღებში.

მალხაზ სირაძის განმარტებით, აღნიშნული ფაქტის შესახებ საქმეში შესაბამისი ორგანოები უნდა ჩაერთოთ.– როცა ტენდერის პირობებს არღვევს ერთი მხარე, მეორე ვალდებულია ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს მიაწოდოს.

ნელი ლაგაზაშვილი, მშობელი:– ასეთი ხორცის მოწოდება ბავშვებისათვის დანაშაულია. მაქვს სხვა კითხვაც, რატომ აჭმევენ ჩვენს შვილებს ორი კვირის შემოტანილ დასილოსებულ მწვანილს, შესამოწმებელია ყველა დასახელების პროდუქტი. თუ ცენტრის წარმომადგენლები ვერ აკონ-ტროლებენ, რითი იკვებებიან ჩვენი ბავშვები, რა საჭიროა ამდენი თანამშრომელი, გააუქმეთ ამდენი შტატი და თანხა ბავშვებს მოახმარეთ. შენიშვნა გამოითქვა კვების რაციონის შესახებაც, რაც ჩვენთან საუბარში რამდენიმე ბაღის მენეჯერმაც დაადასტუ-რა.

ლევან მჭავანაძის განმარტებით, საგანმ-ანათლებლო დაწესებულებებში დარღვევები სისტემ-ატურ ხასიათს ატარებს: – ანტისანიტარიაა არა მხოლოდ ბაღებში, არამედ სკოლებშიც.

გიგი მახარაძე:– რა შეიძლება იყოს პრე-ვენცია, როგორ მოგვარდება ეს პრობლემები, აქ არ იკვეთება. არის, თუ არა შესაძლებელი, მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელიც კონტროლს გასწევს ამ მიმართებით. იქნებ საკრებულომ ამაზე იმსჯელოს.

მინდია სალუქვაძე:– აქვე იკვეთება, რომ ადრესატი არ არის სწორი, კონკრეტულ კითხვას პასუხს ვერავინ სცემს. როგორც გვეუბნებიან, არსე-ბობს სურსათის უვნებლობის სამსახური, თუმცა, როგორც სინამდვილეში ჩანს, არ არსებობს. გაე-რთიანებას უნდა ესარგებლა მენეჯერის აქტიურობ-ით და ერთად აეტეხათ ხმაური აღნიშნული პრობ-ლემის გამოსაშკარავებლად და მოსაგვარებლად.

პოლიტიკური შეფასება მიეცა ერთ-ერთი მშობლის, **ლადო გიორგაძის** გამოსვლას:– მაქვს კითხვები ცენტრის ხელმძღვანელების მიმართ, რატომ მოაყოლეთ ბავშვები პრეზიდენტთან შეხ-ვედრაზე ჭყლეტაში, რატომ გაჩერეთ გვიან ღამემდე რესტორანში რამაზ ნიკოლაიშვილთან შესახვედრად.

არავის უდავია იმაზე, რომ თავად სისტემაა დასახვეწი და არავინაა დაზღვეული მსგავსი, თუ სხვა სახის დარღვევებისა, თუ დანაშაულისაგან, თუ საფუძვლიანად არ შეიცვალა ამ მიმართებით ბევრი რამ. მალე გახდება ცნობილი სურსათის ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიის სბოლოო დასკვნა, რასაც ყველა დაძაბული ელოდება.

მხარეები ერთმანეთის ბრალეულობაზე საუბრობენ, ბავშვთა კვების პრობლემა კითხვებს კვლავ ბადებს

ვატარებდით. იმ დღეს მანქანა არ ამუშავდა, მხოლოდ ამის შემდეგ წავიღეთ ემზარ კვასტიანთან და არა ხომერიკთან იქ აღმოაჩინეს უვარ-გისი ნაჭერი დამუშავების შედეგად.

დასაქმების პროგრამა პირობით მსჯავრდებულთათვის

მარი კოპოეევი

2013 წლის პირველი მაისიდან საზოგადოებრივ ორგანიზაცია გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში იწყება დასაქმებისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა პირობით მსჯავრ-დებულთათვის.

დასაქმების პროგრამა მოიცავს ერთთვიან სასწავლო კურსს პირობით მსჯავრდებულთათვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების საკითხებზე, სტაჟირებასა და უშუალო დასაქმებას სხვადასხვა დაწესებულებაში.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს მცირე ბიზნე-სის მართვის ორთვიან კურსს და მიკრო გრანტების პროგრამას ბიზ-ნესის დაწყების მსურველ პირობით მსჯავრდებულთათვის.

თითოეული პროგრამა გათვლილია 30 პირობით მსჯავრდებულზე. ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება 18-35 წლამდე. ასაკობრივი ზღვარი არ ეხება ქალბატონებს.

პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის სასწავლო მასალები და ტრანსპორტირება, იფარება პროგრამის მიერ.

პროგრამაში მონაწილე პირობით მსჯავრდებულებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში ან კიდევ გურიის პრობაციის ბიუროში. რეგისტრაცია დაიწყება მიმდინარე წლის 4 აპრილს და გაგრძელდება 20 აპრილამდე.

დასაქმებისა და მცირე ბიზნესის პროგრამა ხორციელდება პროე-ქტის-„ პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვნებისა და ახალ-გაზრდების რეინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობა" ფარ-გლებში, რომელსაც 2012 წლის ნოემბრიდან ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ევროკავშირის ფინანსური მხარდა-ჭერით. პროექტის განმახორციელებელი პარტნიორია საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი. 2012 წლის 27 დეკემბერს გაფორმდა მემორანდუმი პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და გური-ის ახალგაზრდულ რესურსცენტრს შორის, რომლის მიზანია მხარეე-ბის აქტიური თანამშრომლობა ზემოთხსენებული პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის. პროექტი მიზნად ისახავს დემოკ-რატიული განვითარების პროცესების ხელშეწყობას და მისი ამო-ცანებია პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვნებისა და ახალ-გაზრდების რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა, ეფე-ქტური ინსტიტუციონალური მექანიზმებისა და სახელმძღვანელო მითითებების შექმნა პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დავით შემოქმედელი–60

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტს, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, ჩვენი რაიონის მკვიდრს დავით შემოქმედელს (ტაკიძეს).

ბატონო დავით!

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია გულთბილად მოგესალმებათ ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ თავკაცს და გილოცავთ დაბადებიდან 60 წელს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს შედგა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და მას შემდეგ გრძელდება თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა.

1981 წელს თითქმის ერთდროულად გამოვიდა ლიტერატურული ალმანახი „ალიონის“ და თქვენი ლექსების პირველი კრებული „სიმაღლე.“ ალმანახში დაბეჭდილი თქვენი პოემა „შენი წილი ცა“ ასე მთავრდებოდა:

„მაშ, სანამ დგეხარ მშობელ მიწაზე,
უნდა სიკეთის გზებით იარო,
რომ ცოდვით სავსე დედამიწაზე,
მზესავით იდგე ადამიანო!“

მართლაც არასდროს გადაგიხვევია სიკეთის გზისთვის. ლექსთა მაღალმხატვრულობა, სინათლე, სიცხადე და ეროვნული სული გამოარჩევს თქვენს მომდევნო პოეტურ კრებულებსაც–„დუმილის ხმა,“ „ჩემი წილი ცა,“ „ტაძართან,“ „გახუნებული პეიზაჟები,“ „რას ტვიფრავ სულზე,“ „ჩემს სამშობლოში მე ემიგრანტი,“ „სიტყვებს მიღმა,“ (ერთტომეული), „რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში.“ თქვენი წიგნები ითარგნმა რამდენიმე ენაზე.

მკითხველთა ყურადღებას ყოველთვის იმსახურებდა ჟურნალებში „მნათობსა“ და „ჭოროხში,“ სხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული თქვენი მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები. თქვენ ხართ განახლებულ გაზეთ „ივერიის“ თანარედაქტორი, ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქტორი, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ რედაქტორი, გამომცემლობა „დავითის“ დირექტორი.

თქვენ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა საქართველოს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას მიუძღვენით ლექსი „ამაღლება,“ რომელზედაც კომპოზიტორმა რუსუსდან ჩხაიძემ შესანიშნავი სიმღერა შექმნა.

იყავით სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ოზურგეთის ორგანიზაციის დაარსებიდან ვერ გამგეობის წევრი, შემდეგ თავმჯდომარე. დედაქალაქში გადასვლის შემდეგ, ხელმძღვანელობდით ამ საზოგადოების ლიტერატურულ და მეცნიერულ ურთიერთობებს.

თქვენ მწერალთა კავშირშიც ასეთივე თბილად მიგიღეს. იყავით კავშირის გამგეობის წევრი, ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელი.

ქართული კულტურის დესპანს არაერთი პრემია გაქვთ მიღებული. ხართ დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიების ლაურეატი.

ჩვენო დავით, 60 წელი პოეტის შემოქმედებისათვის ოქროსფერო შემოდგომის დასაწყისია. გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ - ახალ წარმატებებს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია.

ხსოვნა

მერი მეგრელაძე

გაუსაძლისი ტკივილითა და უსაზღვრო მონატრებით გაილია 40 დღე, მას შემდეგ, რაც თქვენმა ლამაზმა სულმა დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება. თქვენმა უდროოდ წასვლამ სამუდამო ტკივილი მოგვაყენა თქვენს კოლეგებს და აღსაზრდელებს.

თქვენ ხომ სკოლაზე, ოჯახზე, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, პედაგოგთა ოჯახური დინასტიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, უკეთილშობილესი პიროვნება ბრძანდებით.

ჩვენ ვამაყობთ თქვენი დიდი პიროვნული ღირსებითა და სამაგალითო მოღვაწეობით. ულამაზეს ოჯახს თვაქალობდი, უბედნიერესი დედა და მეუღლე იყავი.

თქვენმა საამაყო შვილებმა ყველაფერი იღონეს თქვენი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ერთმანეთს დაგაცილათ.

არასოდეს დაგივიწყებთ მერი მასწავლებელო. უფალს შევთხოვთ ზეციურ სასუფეველში დაუმკვიდროს ბინა თქვენს ლამაზ სულს, იქ სადაც მართალნი განისვენებენ.

ჯუმათის საჯარო სკოლის პედკოლექტივი;
პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

ნონა მამულაიშვილი

ჩვენი პატიოსანი, ალალმართალი შრომით პატარა ლამაზი ოჯახი შევქმენით და ძალიან გვიხაროდა, თუმცა მხოლოდ ერთ წელს მოგვწია შიგ ცხოვრება.

პატარა იყავი, მაგრამ ძალიან დიდი გული გქონდა, გული, რომლითაც ყველას შეაყვარე თავი, და რომელიც მართლაც, დიდ სიყვარულს იტევდა –საოცრად თბილი, სიკეთით სავსე, სულ მუდამ პატივისცემის ფიქრში მყოფი. არ მოიძებნება ადამიანი ჩვენს სოფლებში –ბაილეთსა და გურიანთაში, ოზურგეთში, ვისთვისაც ოდნავი წყენაც კი მიგეყენებინოს. პატივისცემა კი ძალიან ბევრს ახსოვს და დიდი სიყვარულით მოგიგონებენ. მაშ, მე რას მერჩოდი, ასე ცუდ დღეში რომ ჩამაგდე. თუმცა მე და ბექას არ მიგვატოვებდი, ჩვენზე ამოგდიოდა მზე. შენ სიცოცხლე მოგისწრაფა ექიმების უყურადღებობამ, არაპროფესიონალიზმმა, რომელსაც ნამდვილად დასჯის ღმერთი შენი, ჩემი და ბექას გაუბედურებისათვის.

ჩემო ნონა! უსაშველოდ გვიყვარდა ერთმანეთი, ერთად ვმუშაობდით, ერთად ვმღეროდით. ახლა კი მოწამლული მაქვს ცხოვრება. ვიცი, დამიჯერებ, რომ უშენოდ ნამდვილად არ მინდა სიცოცხლე, მაგრამ ბექას რა ვუყო. ალბათ არც შენ მაპატიებ, რომ მას ხელი მივაკლო. შენ ხომ დღედაღამ მასზე ოცნებობდი –ჯერ სრულიად ახალგაზრდამ, 20 წლისამ შენი დახმარებით მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს ხელოვნების გზაზე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, უმანკო სული. არასოდეს დაგივიწყებ.

შენი რეზო.



დედა მერი მალაზონია, მეუღლე რუსუდან ხავთასი, შვილები ავთო, ზაზა, ლევანი ოჯახებით, და მარინა მალაზონია ოჯახით, ძმისშვილები თემურ, ომარ მალაზონიები იუწყებიან **ომარ მალაზონიას** გარდაცვალებას.

პანაშვიდი 8 აპრილს, 17 სთ, დაკრძალვა 9 აპრილს, 15 სთ. (გამოსვენება ქ. ოზურგეთი, ლანჩხუთის ქ. №14

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკის ქალბატონ **მერი ჯაველიძე-გოლიაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს №1 საჯარო სკოლის პედაგოგს რუსუდან ხავთასს მეუღლის **ომარ მალაზონიას** გარდაცვალების გამო.

ნოდარ, ნუგზარ დონაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ამირან, ნიკო, ნანა, მამულაიშვილებს, რეზო და ბექა ჩიკაშუებს **ნონა მამულაიშვილი-ჩიკაშუას** გარდაცვალების გამო.

პატარებმა თავადაც იცალისეს და უფროსებიც გაახალისეს

ვაკიჯვრის საჯარო სკოლის მეორეკლასელთა საკლასო ოთახი ის პატარა სამყაროა, საიდანაც დიდ სამყაროში გასასვლელი გზები მიგნებულადაა შერჩეული პატარებისთვის. აქ ერთმანეთს ენაცვლება მასწავლებლის ხელით თიხისგან შექმნილი საქართველოს ორიგინალური რუკა, საყვარელ მულტიფილმთა ნახატები, თუ თოჯინები, ხელოვანის ხელით ნაკეთები სხვა ატრიბუტები, სამკაულები ოთახისა. სწორედ ამ სამყაროში გვიმასპინძლა დაწყებითი კლასის მასწავლებელმა ხათუნა ჭეიშვილმა თავის აღსაზრდელებთან ერთად. ღონისძიების პირველ ნაწილში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, ბოსტნეულთა გაბასება წარმოადგინეს ბავშვებმა. ლამაზად გაფორმებულ პატარა ბოსტნებში მოყვანილი სხვადასხვა სახის ბოსტნეული თავის ღირსებებსა და მარგებლობაზე ესაუბრებოდა მსმენელს.

მეორე ნაწილის მასპინძლები თოჯინების თეატრის „კომბლეს“ თოჯინები გახლდათ.

თორნიკე თავაძე, ნინო მდინარაძე, ანი მდინარაძე, სალომე მდინარაძე, ლაშა მდინარაძე, გიორგი სიამაშვილი, გუკა სიამაშვილი, ანანო ჭონონელიძე. რვა ბავშვი იდგა სცენაზე, რვა პატარა მსახიობი, რომლებიც თვალებში შეჰყურებდნენ მასწავლებელს და მისგან უფრო გათამამებულები ცდილობდნენ სტუმართათვის თავი მოეწონებინათ და სიყვარულით დაებრუნებინათ მასწავლებლისთვის უდიდესი ამაგი.

ლოგიკური აზროვნება, მსჯელობის კარგი უნარი, გამომეტყველებითი კითხვა და რაც მთავარია, ცნობისმოყვარეობით აღსავსე დიდრონი, ნათელი თვალები, რომელშიც ცხოვრება ნელ-ნელა ჩაასახლებს თავის რეალობებს. ღმერთმა ქნას, ეს რეალობები სიკეთით იყოს დახუნძლული.

დაბადების დღე მიულოცეს მეორეკლასელ ნინო მდინარაძეს.

სკოლის დირექტორი **ანა გელეგანოვი:** ხათუნა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მასწავლებელია, არც ერთი ნივთი არ გადაიგდება ჩვენს სკოლაში, მეორე დღეს მას მათგან მოაქვს საოცრებები. არის არაერთი კონკურსის მონაწილე და გამარჯვებული. ლამაზი დღით მოწონება გამოხატეს და მადლობა გადაუხადეს სკოლასა და მასწავლებელს განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ირინა ინარიძემ, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძემ, ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის ხელმძღვანელებმა. როზა გოგუაძემ და ქალთა კლუბის ხელმძღვანელებმა საჩურები გადასცეს პატარებს. შეხვედრის ბოლოს ხათუნა ჭეიშვილმა საკუთარი ლექსი წაიკითხა.

ნანა კეკელიძე.

კადეტებს შორის პირველობაზე

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კადეტებს შორის. ოზურგეთის სასპორტო სკოლის ნაკრებმა გუნდმა ამ ტურნირზე საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდებს შორის პირველი გუნდური ადგილი დაიკავა.

ოზურგეთელთა ნადავლი ასეთია:

50 და 58 კგ. წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: დავით ჩხარტიშვილი (მწვ. ზურაბ, ირაკლი ზურაბიანები); ლევან ქავჟარაძე (ალ. ბოლქვაძე).

II ადგილზე გავიდნენ: 50 კგ. კახა ირემაძე (ამჟამად ბათუმის ღირსებას იცავდა, მწვ. გურამ მაჭარაშვილი); 58, 85კგ. გიორგი გუჯაბიძე, ვასილ თავბერიძე (მწვ. ძმები ზურაბიანები).

III ადგილზე გავიდნენ: 54 კგ. ირაკლი ლომაძე (მწვ. ძმები ზურაბიანები); 63, 100 კგ. გუგა კვერღელიძე, ედვარდ ღლონტი (მწვ. გურამ მაჭარაშვილი).

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე